1/14 სამშაბათი. **დღესასწაული საუფლო კვართისა და ღმრთივგრწყინვალე და მიროდინარე სვეტისა. საფარველი ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. მაცხოვრის ჯვარცმის ჟამს მცხეთას ვნებულისა, კვართის მიმრქმელის წმ. სიდონიას დედისა**(I)**; მოც. სწორთა – მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი; წმ. სიდონიასი და აბიათარ მღვდელისა, ურიაყოფილისა**(IV)**; წმ. მელქისედეკ I, საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქისა, სვეტიცხოვლის განმაახლებელისა**(XI ს.); მოც. ანანიასი, სამოცდაათთაგანისა (I); ღირ. რომანოზ ტკბილადმგალობელისა (დაახ. 556); მოწ. დომნინე თესალონიკელისა(IV); ღირ. მოწ. მიქაელისა, ზობიელი იღუმენისა და მისთანა 36 ღირსთა მოწამეთა(780-790).

**მცხეთობა – სვეტიცხოვლობა.**

ცისკ. – მკ. 67 დას. XV, 16-24.
ლიტ. – კვართის – 1 ტიმ. 284 დას. III, 14-16. ინ. 60 დას. (შუათგან), XIX, 23-24.
ღმრთისმშობლის – ებრ. 320 დას. IX, 1-7. ლკ. 54 დას. X, 38-42; XI, 27-28.
მოც. სწ. – 1 კორ. 131 დას. IV, 9-16. ლკ. 50 დას. X, 1-15.

2/15 ოთხშაბათი. **დიდმოწ. არგვეთის მთავართა – დავით და კონსტანტინე მხეიძეთა**(740); მღვდელმოწ. კვიპრიანესი, მოწ. იუსტინასი და თეოქტისტესი(304); ნეტ. ანდრიასი, ქრისტესთვის სალოსისა(936).

ცისკ. – მთ. 36 დას. X,16-22.
ლიტ. – ფილპ. 237 დას. I, 12-20. ლკ. 28 დას. VI, 46 – VII,1.
დიდმოწ. – ეფ. 233 დას. VI, 10-17. ლკ. 106 დას. XXI, 12-19.

3/16 ხუთშაბათი. მღვდელმოწ. დიონისე არეოპაგელისა, ათენელი ეპ., რუსტიკე ხუცისა და ელევთერი დიაკ.(96); ღირ. იოანე ქოზიბელისა, კესარიელი ეპ.(VI); ნეტ. ისიხიოს ქორებელისა(VI).

ლიტ. – ფილპ. 238 დას. I, 20-27. ლკ. 31 დას. VII,17-30.
მღვდელმოწ. – საქმ. 40 დას. XVII, 16-34. მთ. 55 დას. XIII, 44-54.

4/17 პარასკევი. **მოწ. ევდემოზ კათოლიკოსისა**(დიასამიძე,1642)**;** მღვდელმოწ. იეროთეოსისა, ათენელი ეპ.(I); მოწ. გაიოზისა, ფავსტოსისა, ევსევისა და ქერიმონისა(III); მღვდელმოწ. პეტრე კაპეტოლიელისა(III-IV); მოწ. დომნინასი და ასულთა მისთა – ვირინეასი(ვერონიკასი) და პროსკუდიასი(პროსდოკიასი;305-306); ღირ. ამონისა(დაახ. 350);

ღირ. პავლესი(IV); მოწ. დავიკტისა(ადავკტისა) და ასულისა მისისა კალისთენიასი(IV).

ლიტ. – ფილპ. 239 დას. I, 27 – II, 4. ლკ. 32 დას. VII, 31-35(პარ.).
1 კორ. 164 დას. XV, 58 – XVI, 3. ლკ. 20 დას. V, 27-32(შაბ.).
მღვდელმოწ. – ებრ. 334 დას. XIII, 7-16. ლკ. 67 დას. XII, 32-40.

5/18 შაბათი. **ღირ. მამისა ჩვენისა გრიგოლ ხანძთელისა**(861); **კლარჯეთის უდაბნოთა ღირსთა მამათა და დედათა**, რომელთა შორის უნდა ვიგულისხმოთ: კათოლიკოსნი – ნერსე, იშხნის პირველად აღმშენებელი და ნეტარი ილარიონი; მღვდელმთავარნი – ზაქარია, მაკარი და ეზრა ანჩელნი, საბა იშხნელი, სტეფანე მტბევარი; ღირსი მამა იოანე, ბაღდადს სარკინოზთაგან მოკლული; ღირსნი მამანი – თეოდორე (ნეძვის მაშენებელი), ქრისტეფორე (კვირიკეთის მაშენებელი), ამონა, პეტრე, სამოელი, ანდრია, ამბა გიორგი, მაკარი (ოპიზელნი), შიო საკვირველთმოქმედი; გიორგი, მიქაელი, პავლე, ბასილი (ზარზმელნი), ხვედიოსი, ეპიფანე, მატოი, ზენონი, არსენი, იოვანე, ბასილი, დიმიტრიოსი, არსენი, მაკარი; თეოდორე, გაბრიელი, გიორგი მერჩულე (ხანძთელნი), მიქაელ პარეხელი და მოწაფენი მისნი – ბასილი და მარკელაოსი; დავითი, იაკობი (მიძნაძორელნი), გრიგოლი, სოფრონი (შატბერდელნი); ზაქარია(ბარეთელთის მაშენებელი), ილარიონ პარეხელი, ილარიონი (უბის მამასახლისი); ღირსნი დედანი – ფებრონია, თემესტია, ანასტასია; ღირ. ანატოლე (ანტონიოს) დაყუდებული(IX ს.); მოწ. ხარიტინასი(304); მღვდელმოწ. დიონისესი, ალექსანდრიელი ეპ.(264-265); მოწ. მამელხვა სპარსელისა(დაახ. 344); წმ. პეტრესი, ალექსისა, იონასი, ფილიპესი და ერმოგენისა – მოსკოველ საკვირველთმოქმედთა.

**უბისობა.**

ცისკ. – მთ. 43 დას. XI, 27-30.
ლიტ. – ღირ. – გალ. 213 დას. V, 22 – VI, 2. ლკ. 24 დას. VI, 17-23.

6/19 სულთმოფენობიდან მე-19 კვირა. ხმა 2. **წმიდისა და ყოვლადქებულისა მოც. თომასი**(I).

ცისკ. – სახ. მე-8, ინ. 64 დას. XX, 11-18.
ლიტ. – 2 კორ. 194 დას. XI, 31 – XII, 9. ლკ. 30 დას. VII, 11-16.
მოც. – 1 კორ. 131 დას. IV, 9-16. ინ. 65 დას. XX, 19-31.

**შავნაბადობა**(გარდამავალია, აღინიშნება ოქტომბრის პირველ კვირა დღეს).

7/20 სულთმოფენობიდან მე-20 შვიდეული. ორშაბათი (21-ე შვიდეულის სახარების საკითხავები). **წმ. ამბროსი აღმსარებელისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა**(ხელაია); **ღირ. იოსებ ხუცისა, მოხევისა, საკვირველთმოქმედისა**(1763); მოწ. სერგისა და ბაქოჲსი(290-303); მოწ. იულიანე ხუცისა და კესარიოს დიაკ.(I); მოწ. პელაგია ტარსელისა(290); მოწ. პოლიქრონიოს ხუცისა(IV).

ლიტ. – ფილპ. 241 დას. II, 12-16. ლკ. 33 დას. VII, 36-50.
ღირ. – გალ. 213 დას. V, 22 – VI, 2. მთ. 43 დას. XI, 27-30.

8/21 სამშაბათი. ღირ. პელაგიასი(457); ღირ. ტაისიასი(IV); წმ. პელაგია ქალწ.(303).

ლიტ. – ფილპ. 242 დას. II, 16-23. ლკ. 34 დას. VIII, 1-3.
ღირ. – გალ. 208 დას. I, 20-27. ლკ. 31 დას. VII, 17-30.

9/22 ოთხშაბათი. **მოც. იაკობ ალფესისა**(I); ღირ. ანდრონიკესი და ცოლისა მისისა ათანასიასი(V); მართლისა აბრაამ მამამთავრისა და ძმისწულისა მისისა ლოთისა(2000 წ. ქრ. წინ); მოწ. ებენტი (იუვენტინე) და მაქსიმე მხედართა (361-363); მოწ. პოპლია აღმს., ანტიოქიელი დიაკონისასი(დაახ. 361-363); ღირ. პეტრე გალატიელისა (IX).

ცისკ. – ინ. 67 დას. XXI, 15-25.
ლიტ. – ფილპ. 243 დას. II, 24-30. ლკ. 37 დას. VIII, 22-25.
მოც. – 1 კორ. 131 დას. IV, 9-16. ლკ. 51 დას. X, 16-21.

10/23 ხუთშაბათი. მოწ. ევლამპისა და ევლამპიასი(303-311); მოწ. თეოტეკნისა(III-IV); ღირ. ბასიანესი(V); ღირ. თეოფილე აღმს.(VIII); ღირ. ამბროსი ოპტელისა(1891).

ლიტ. – ფილპ. 244 დას. III, 1-8. ლკ. 41 დას. IX, 7-11.
მოწ. – 2 ტიმ. 292 დას. II, 1-10. ინ. 52 დას. XV, 17 – XVI, 2.

11/24 პარასკევი. მოც. ფილიპესი, შვიდთა დიაკონთაგანისა(I); ღირ. თეოფანე აღმს., ნიკეის ეპ., კანონმთქმელისა(დაახ. 850); მოწ. ზინაიდასი და ფილონილასი(I).

ლიტ. – ფილპ. 245 დას. III, 8-19. ლკ. 42 დას. IX, 12-18.
მოც. – საქმ. 20 დას. VIII, 26-39. ლკ. 50 დას. X, 1-21.

12/25 შაბათი. მოწ. პროვოსისა, ტარახოსისა და ანდრონიკესი(304); ღირ. კოზმასი, მაიუმელი ეპ., კანონმთქმელისა(დაახ. 787); მოწ. დომნიკასი(286); წმ. მარტინე მოწყალისა, ტურელი ეპ.(400); **დღესასწაული იერუსალიმის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა**(48).

ლიტ. – მოწ. – ეფ. 233 დას. VI, 10-17. ლკ. 106 დას. XXI, 12-19.
რიგ. – 2 კორ. 168 დას. I, 8-11. ლკ. 22 დას. VI, 1-10.

13/26 სულთმოფენობიდან მე-20 კვირა. ხმა 3. VII **მსოფლიო კრების წმიდა მამათა ხსენება** (787); **დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა; ღირ. ანტონისა, ჭყონდიდელი მიტროპ.** (1815) **და მოწაფისა მისისა იაკობ ხუცესმონაზონისა;** მოწ. კარპესი, თიატირელი ეპ., პაპილა დიაკონისა, აღათოდორესი და დისა მისისა აღათონიკასი(დაახ. 251); მოწ. ფლორენტისა(I-II); მოწ. ბენიამინ დიაკონისა(421-424); ღირ. ნიკიტა აღმს.(დაახ. 838); მოწ. ქრისასი(1795; ბულგ.).

ცისკ. – სახ. მე-9, ინ. 65 დას. XX, 19-31.
ლიტ. – გალ. 200 დას. I, 11-19. ლკ. 35 დას. VIII, 5-15.
წმ. მამათა – ებრ. 334 დას. XIII, 7-16. ინ. 56 დას. XVII, 1-13.
ღმრთისმშობ. – ფილპ. 240 დას. II, 5-11. ლკ. 54 დას. X, 38-42; XI, 27-28.

14/27 სულთმოფენობიდან 21-ე შვიდეული. ორშაბათი (22-ე შვიდეულის სახარების საკითხავები). მოწ. ნაზარისა, გერვასისა, პროტასისა და კელსისა (54-68); ღირ. პარასკევასი(XI); მოწ. სილვანესი, ღაზელი ხუცისა(IV).

ლიტ. – ფილპ. 248 დას. IV, 10-23. ლკ. 43 დას. IX, 18-22.
მოწ. – 2 ტიმ. 292 დას. II, 1-10. ინ. 52 დას. XV, 17 – XVI, 2.

15/28 სამშაბათი. ღირ. ექვთიმე ახლისა, თესალონიკელისა(889); ღირ. მოწ. ლუკიანესი, ანტიოქიელი ხუცისა(312); მოწ. სარვილესი და ბებეასი(II); წმ. საბინესი, კატანელი ეპ.(760).

ლიტ. – კოლ. 249 დას. I, 1-2, 7-11. ლკ. 44 დას. IX, 23-27.
ღირ. – გალ. 213 დას. V, 22 – VI, 2. მთ. 43 დას. XI, 27-30.

🕮 წმიდა ნინოს ვაზის ჯვრის დაბრუნება საქართველოში, განკარგულებისამებრ რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ისა(1801).

16/29 ოთხშაბათი. **ღირ. ზენონ იყალთოელისა**(VI); მოწ. ლონგინოზ ასისთავისა, რომელი იყო წინაშე ჯვრისა უფლისა(I).

ლიტ. – კოლ. 251 დას. I, 18-23. ლკ. 47 დას. IX, 44-50.
ღირ. – გალ. 213 დას. V, 22 – VI, 2. ლკ. 24 დას. VI, 17-23.

17/30 ხუთშაბათი. **წმ. მამისა ჩვენისა იოსებ კათოლიკოსისა, საკვირველთმოქმედისა**(1770); **მოწ. კოზმანისა, რომელი ქართლს ეწამა;** წწ῀სა ოსესი(820 წ. ქრ. წინ); ღირ. მოწ. ანდრია კრეტელისა(767); მოწ. კოზ-

მასი და დამიანესი, უვეცხლოთა და ძმათა მათთა – მოწ. ლეონტისა, ანთიმოზისა და ევტროპიოსისა(287, ან 303); აღმოყვანება ნაწილთა მართლისა ლაზარესი, ოთხთა დღეთა საფლავად მდებარისა(898).

ლიტ. – კოლ. 252 დას. I, 24-29. ლკ. 48 დას. IX, 49-56.
წმ. – ებრ. 318 დას. VII, 26 – VIII, 2. ინ. 36 დას. X, 9-16.

18/31 ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ. **წმიდისა დიდებულისა, ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა ლუკასი**(I); მოწ. მარინისა(IV); ღირ. იულიანესი(IV).

ცისკ. – ინ. 67 დას. XXI, 15-25.
ლიტ. – კოლ. 253 დას. II, 1-7. ლკ. 50 დას. X, 1-15.
მოც. – კოლ. 260 დას. (შუათგან), IV, 5-9, 14, 18. ლკ. 51 დას. X, 16-21.

19/1 ნოემ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ. წწ˜სა იოელისა(800 წ. ქრ. წინ); მოწ. უარისა და მისთანა შვიდთა ქრისტიანთა მასწავლებელთა(დაახ. 307); ნეტ. კლეოპატრასი(327) და ძისა მისისა იოანესი(320); მღვდელმოწ. სადუკისა, სპარსელი ეპ. და მისთანა 128 მოწამეთა(342).

**მიცვალებულთა ხსენება.**

ლიტ. – 2 კორ. 174 დას. III, 12-18. ლკ. 29 დას. VII, 1-10.
მიც. – 1 თეს. 270 დას. IV, 13-17. ინ. 16 დას. V, 24-30.

20/2 ᲡᲣᲚᲗᲛᲝᲤᲔᲜᲝᲑᲘᲓᲐᲜ 21-Ე ᲙᲕᲘᲠᲐ. ხმა 4. **ღირ. გაბრიელ სალოსისა და აღმსარებელისა** (ურგებაძე, 1995); დიდმოწ. არტემიოსისა(362).

ცისკ. – სახ. მე-10, ინ. 66 დას. XXI, 1-14.
ლიტ. – გალ. 203 დას. II, 16-20. ლკ. 83 დას. XVI, 19-31.
ღირ. – გალ. 213 დას. V, 22 – VI, 2. მთ. 43 დას. XI, 27-30.

21/3 ᲡᲣᲚᲗᲛᲝᲤᲔᲜᲝᲑᲘᲓᲐᲜ 22-Ე ᲨᲕᲘᲓᲔᲣᲚᲘ. ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ (23-ე შვიდეულის სახარების საკითხავები). ღირ. ილარიონ დიდისა(371-372); მოწ. დასისა, გაიოზისა და ზოტიკესი(303).

ლიტ. – კოლ. 255 დას. II, 13-20. ლკ. 52 დას. X, 22-24.
ღირ. – 2 კორ. 188 დას. IX, 6-11. ლკ. 24 დას. VI, 17-23.

22/4 ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ. მოც. სწორისა ამბერკისა, იერაპოლელი ეპ., საკვირველთმოქმედისა(დაახ. 167); შვიდთა ყრმათა ეფესელთა – მაქსიმილიანესი, იამბლიხოსისა, მარტინიანესი, დიონისესი, ანტონინესი, კონსტანტინესი და იოანესი(დაახ. 250); მოწ. ალექსანდრე ეპ., ირაკლი მხედრისა და ოთხთა დედათა: ანასი, ელისაბედისა, თეოდოტიასი და გლიკერიასი (II-III); ღირ. გიორგი ახლისა აღმსა-

რებელისა(კარსლიდისი, 1959); **დღესასწაული ყაზანის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა.**

ლიტ. – კოლ. 256 დას. II, 20– III, 3. ლკ. 55 დას. XI, 1-10.
წმ. – ებრ. 318 დას. VII, 26 – VIII, 2. ინ. 36 დას. X, 9-16.

23/5 ოთხშაბათი. **მოც. იაკობისა, ხორციელად ძმისა უფლისა**(დაახ. 63); წმ. ეგნატესი, კონსტანტინეპოლელი პატრ.(877-878).

ლიტ. – კოლ. 259 დას. III, 17 – IV, 1. ლკ. 56 დას. XI, 9-13.
მოც. – გალ. 200 დას. I, 11-19. მთ. 56 დას. XIII, 54-58.

24/6 ხუთშაბათი. მოწ. არეთასი და მისთანა 4299 მოწამეთა(523); ნეტ. ელეზვოისი, ეთიოპიის მეფისა(553-555); მოწ. სვინკლიტიკიასი და ორთა ასულთა მისთა(VI); წმ. ათანასესი, კონსტანტინეპოლელი პატრ.(1311); **ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“**(1688).

ლიტ. – კოლ. 260 დას. IV, 2-9. ლკ. 57 დას. XI, 14-23.
ღმრთისმშობ. – ფილპ. 240 დას. II, 5-11. ლკ. 54 დას. X, 38-42; XI, 27-28.

25/7 პარასკევი. მოწ. მარკიანესი და მარტვირისა(დაახ. 355); მოწ. ანასტასისა(III); მართლისა ტაბითასი(I).

ლიტ. – კოლ. 261 დას. IV, 10-18. ლკ. 58 დას. XI, 23-26.
მოწ. – ეფ. 224 დას. (შუათგან), IV, 7-13. მთ. 34 დას. (შუათგან), X, 1-8.

26/8 შაბათი. **წმ. ალექსანდრესი, გურიისა და სამეგრელოს ეპ.** (1907); **ხს. დიდისა და საშინელისა ძვრისა, რომელი იყო ქალაქსა კონსტანტინეპოლს(740); დიდმოწ. დიმიტრი თესალონიკელისა**(დაახ. 306); მოწ. ლუპესი(დაახ.306); ღირ. ათანასე მიდიკიელისა(814).

ცისკ. – მთ. 36 დას. X, 16-22.
ლიტ. – ძვრის – ებრ. 331 დას. (შუათგან), XII, 6-13, 25-27. მთ. 27 დას. VIII, 23-27.
რიგ. – 2 კორ. 178 დას. V, 1-10. ლკ. 36 დას. VIII, 16-21.
წმ. – ებრ. 318 დას. VII, 26 – VIII, 2. ინ. 36 დას. X, 9-16.
დიდმოწ. – 2 ტიმ. 292 დას. II, 1-10. ინ. 52 დას. XV, 17 – XVI, 2.

27/9 სულთმოფენობიდან 22-ე კვირა. ხმა 5. მოწ. ნესტორ თესალონიკელისა(დაახ. 306); მოწ. კაპიტოლინასი და ეროტიდასი(304); მოწ. მარკოზისა და მისთანათა.

ცისკ. – სახ. მე-11, ინ. 67 დას. XXI, 15-25.

ლიტ. – გალ. 215 დას. VI, 11-18. ლკ. 38 დას. VIII, 26-39.
მოწ. – ეფ. 233 დას. VI, 10-17. ლკ. 106 დას. XXI, 12-19.

28/10 სულთმოფენობიდან 23-ე შვიდეული. ორშაბათი (24-ე შვიდეულის სახარების საკითხავები). **მღვდელმოწ. ნეოფიტესი, ურბნელი ეპ.**(VII); დიდმოწ. პარასკევასი(III); მოწ. ტერენტისა და ნეონილასი და შვილთა მათთა – სარვილესი, ფოტისა, თეოდულესი, იერაქსისა, ნიტესი, ვილესი და ევნიკიასი(249-250); ღირ. სტეფანე საბაწმიდელისა, კანონმთქმელისა(IX); წმ. არსენისა, სერბელი მთავარეპ.(1266); მოწ. აფრიკანესი, ტერენტისა, მაქსიმესი, პომპიოსისა და 36 სხვათა(III); მღვდელმოწმ. კვირიაკესი, იერუსალიმელი პატრ.(363); ღირ. იოანე ქოზიბელისა, კესარიელი ეპ.(VI).

ლიტ. – 1 თეს. 262 დას. I, 1-5. ლკ. 59 დას. XI, 29-33.
მღვდელმოწ. – 1 ტიმ. 280 დას. I, 12-17. ლკ. 67 დას. XII, 32-40.

29/11 სამშაბათი. **ღირ. მამისა ჩვენისა სერაპიონ ზარზმელისა**(900); ღირ. მოწ. ანასტასია რომაელისა(III); ღირ. აბრაამ დაყუდებულისა და ნეტ. მარიამისა, ძმისწულისა მისისა(დაახ. 360); მოწ. კლავდიოსისა, ასტერიოსისა, ნეონისა და თეონილასი(285); ღირ. ანასი(826).

ლიტ. – 1 თეს. 263 დას. I, 6-10. ლკ. 60 დას. XI, 34-41.
ღირ. – გალ. 213 დას. V, 22 – VI, 2. მთ. 43 დას. XI, 27-30.

30/12 ოთხშაბათი. **მოწ. იოთამ ზედგენიძისა, მეფისათვის თავდადებულისა**(1465); მღვდელმოწ. ზინობისა, ეგეას ეპ. და დისა მისისა ზინობიასი(285); მოც. ტერტისა, მარკოზისა, იოსტოსისა და არტემისა – სამოცდაათთაგანთა(I); მღვდელმოწ. მარკიანესი, სირაკუზელი ეპ.(II); მოწ. ევტროპიასი(დაახ. 250); მოწ. ანასტასია თესალონიკელისა(III).

ლიტ. – 1 თეს. 264 დას. II, 1-8. ლკ. 61 დას. XI, 42-46(ოთხშ).
1 თეს. 265 დას. II, 9-14. ლკ. 62 დას. XI, 47 – XII, 1(ხუთშ).
მოწ. – 2 ტიმ. 292 დას. II, 1-10. ინ. 52 დას. XV, 17 – XVI, 2.

31/13 ხუთშაბათი. **წმიდათა ათთა ბევრთა**(100 000) **მოწამეთა, თბილისს ხვარაზმელთაგან წამებულთა**(1227);* მოც. სტაქოსისა, ამპლიასი, ურბანოსისა, ნარკისისა, აპელიოსისა და არისტობულესი – სამოცდაათთაგანთა(I); მოწ. ეპიმაქესი(დაახ. 250); ღირ. მავრასი(V).

ცისკ. – ლკ. 106 დას. XXI, 12-19.
ლიტ. – მოწ. – რომ. 99 დას. VIII, 28-39. მთ. 36 დას. X, 16-22.

* მეტეხის ხიდზე სრულდება პარაკლისი.